ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2609572

ნომერი: AR1403470

თარიღი : 10.05.2016

გაცემის თარიღი : 24.05.2016

გაცნობის თარიღი : 25.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 37 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ ლაბაძე პ/ნ 01012004980
- თბილისი მცხეთის გას. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/04/2016 წლის №2513138 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 10/05/2016 წლის №AR1403470 განაცხადით მომართა კახაბერ ლაბაძემ და ამავე სამსახურის 06/04/2016 წლის №2513138

ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური ხარვეზის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 06/04/2016 წლის №2513138 ბრძანებით ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N37, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.14.06.007.047) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის „ა“ ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 06 აპრილიდან 2017 წლის 06 თებერვლის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, 06/04/2016 წლის №2513138 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი, კომერციული, საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოსა და საერთო ფართობები არასწორდაა დაფიქსირებული. განმცახდებელმა წარმოადგინა შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ასევე საპროექტო გეგმები.
წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 06/04/2016 წლის №2513138 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობის (კვ.მ).: 5930,78; კომერციული ფართობის (კვ.მ.).: 509,4; საზაფხულო ფართობის (კვ.მ).: 740,31; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობის (კვ.მ).: 782,3; საერთო ფართობის (კვ.მ).: 9498,99-ის დაფიქსირება. ასევე, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო გეგმების განმცხადებლის მიერ 10/05/2016 წლის №AR1403470 განაცხადით წარმოდგენილი შესწორებული საპროექტო გეგმებით ჩანაცვლება.
სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებული ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ასევე 06/04/2016 წლის №2513138 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩაანაცვლოს განმცხადებლის მიერ 10/05/2016 წლის №AR1403470 განაცხადით წარმოდგენილი შესწორებული გეგმებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/04/2016 წლის №2513138 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 5930,78; კომერციული ფართობი (კვ.მ.).: 509,4; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 740,31; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 782,3; საერთო ფართობი (კვ.მ).: 9498,99; ასევე, სამსახურის 06/04/2016 წლის №2513138 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს განმცხადებლის მიერ 10/05/2016 წლის №AR1403470 განაცხადით წარმოდგენილი შესწორებული გეგმებით. სამსახურის 06/04/2016 წლის №2513138 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/04/2016 წლის №2513138 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.